

## ხელნაწერი: ... (H-54), XVII ს.

### მინაწერები

#### ზედწარწერა

„ ქ დასაწისი პირველი ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები რომელსა ვეფხისტყაოსნობით უკმობენ ტარიელისა და ნესტან დარეჯანის მიჯნურობა კარი პირველი იწყების ადიდე ღთო მეფეთ მეფე პატრონი შაჰნავაზ ამინ.“

#### 262r-263r

ეჰა ქება და დიდება სამებით სრულსა და განუყოფელსა, რომელმან შექმნა ყოველნი სულნი და უხილავნი კელმწიფობითა ძლიერების თუისისათა, რომელმან ყოველნივე არარასაგან არსებად მოიყუანა და მართებს და განაგებს ყოველთავე წამისყოფითა თუისითა, რომელსა შიშით მსახურებენ უსხეულოთა იგი წესთა მთავრობანი და დაიფარვენ ფრთებითა პირთა მათათა და განცდად მისისა ვერ შემძლებელ არიან, არამედ დადადებს მოყუასისა მიმართ და იტყუის, ვითარმედ წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, ხოლო ოდეს ითქუას სამგზის წმიდა არსნი ჩანს ჭეშმარიტად, რომე სამება იდიდების განცხადებულად, ხოლო ჩვენცა მიწიერნი ესე მიმგზავსებულობდეთ ზეცისათა მათ და რაოდენ შეგუანდის მიწიერსა და მოკუდავსა ამას და სიზმრებრ წარმავალსა და აჩრდილებრ განქარვებადსა არსებასა ჩუენსა, ჩუენცა მათ თანავე ვიტყოდით დიდება მამასა, დიდება ძესა და დიდება სულსა ყოვლად წმიდასა ერთს ღმრთეებას განუყოფელსა და განუწვალელებელსა რომელსა შვენის ყოველი დიდება პატივი და თაყუანის ცემა მამისა ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდის ამინ ამინ ამინ

მას ჟამსა ოდეს ღმრთივ გუირგუნოსანი და ყოველთა კელმწიფეთა შორის წარჩინებული მეფეთ-მეფე პატრონი შაჰნავაზ ამიერ სოფლით აღესრულა და დაჯდა მკუიდრსა და ღმრთივ დამყარებულსა ტახტსა საკელმწიფოსა ძე მისი ღმრთივ დაცულ- დაფარული მეფობისა შარავანდედი პრწყინვალე და უჟესთაესი კელმწიფედ და პატრონად მეფე გიორგი ღმრთისაგან ფლობა მინიჭებული არს ღმრთის მოშიში და ღმრთისაგან შეყუარებული ყოველთა ნათესავთა მისთა უდიდებულესი თუით დავით წინასწარმეტყველის ტომი და უმაგრესი ანდამატისა, შემადრწუნებელი ყოველთა წინააღმდეგომთა რომელმან სიმკნითა თუისითა დაიპყრა სამეფო თუისი ყოველივე და მოსრნა მახულობითა ურჩნი და მტერნი

თუისნი ღმრთივ დაცულ დაფარულმან ძლიერმან და უძლიეველმან არა ხოლო თუ მნახავთაგან არამედ მსმენელთაგანცა საქებელ სადიდებლისა ჰაეროვნებისა და ასაკობისა მისისათა მზისა და მთოვარისა მაჯუფთარემან ახალმან სამოთხისა ნორჩმან აერ შვენიერმან ჯომარდობისა მაგალითმან მამაცობისა დასაბამმან და ისპაობისა იადგარმან გულ ლომმან მკლავ მაგარმან კელ ფერკ მოშაითმან ვეფხვეზერ კისკას ტახტისა და გუირგუინისა შესაფერმან ჯერეთ სახითა და მოშაითმან ღმრთისმოყვარემან და ხოლო საქმითა და სიმჭნითა გმირთაცა და სიმჭნითა გმირთაცა უგმირეასმან ლომმან ლომთამან ღვთისმოყუარემან მშუიდმან და უხუმან და თავმდაბლად ბევრგზის სხუათასა ვითარცა შუენის კელმწიფესა თავადთა და აზნაურთა წარჩინებულთაგან სულ ამოფრინვით სტრფიალომან და მარგალიტმან უსასყიდლომან ვარდმან ედემისამან სულამომან სანთელმან დაუშრეტელმან და მზეებრ გაბრწყინებულმან ყოველთა შემხედთა მისთა განმანათლებელმან და მტერთა ცვილებრ დამადნობელმან ვარსკულავმან მოკამკამემან დილისა იამანეთით აღმოსულმან სახელ შვენიერმან პატრონმან უფალმან ჩუენმან გიორგი ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერა წიგნისა ამისა ვეფხისტყაოსნისა და წარეგო მრავალილ წარსაფებელი ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულნი კელოვნებასა ამის წიგნისასა და ენება რათამცა ფრიად კეთილ შუენიერ ყოფილიყო რომელ არსცა კეთილ და შუენიერ თუნიერ ხოლო ნაწერისაგან კიდე ესეცა უწყოდით უფალნო ჩემნო მრავალნი მეფე გარდაცვალებულმან და არავის შეუმკია წიგნი ვეფხისტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩვენისა დ განაძლიეროს და მრავალ ჟამს ყოს ღმერთმან მეფობა და >კელმწიფობა ამისი ოდესცა ნახუდეთ სცნობდეთ ვითარცა არს და თქუენცა ბრძანეთ ვითარმედ კეთილ არსო ხოლო სრულ იქმნა წიგნი ესე ინდიქტიონსა მგლობელისა ჩუენისასა მეოთხესა დასრულებულ ყუან ღმერთმან კელმწიფობა მეფისა გიორგისა და კუალად განაძლიეროს და დღითი დღე შემატოს შარავანდედობასა მისსა და დაუმორჩილნეს ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მისნი ხილულნი და აღესრულენ ყოველნი ჟამნი მისნი, ხოლო მერმესა მას ეგრეთვე წმინდამან ღვთისმშობელმან სახელდებულმან მარიამ სძალმა წმინდამან თანამყოფი მათი დედოფალი პატრონი თამარ დაიფაროს საფარველსა ქუეშე მისსა კელი აღუპყრას და ნუგეშინის სცეს ნუგეშინის ცემითა მით სასუფეველითა და შეისმინოს მხურვალე ვედრება მისი და შეწირული ყოს ყოველი მსხვერპლი მისი შეწირული გულითა დამდაბლებელითა და უმანკოთა ხოლო სული შემუსურილითა და ძენი მათნი აღზარდნეს პატრონი ბაგრატ და ბატონი მარიამ იგი ვარსკულავთა პრწყინვალეთანი და კუალად დღესა მას საშინელსა უპყრას კელი მარჯვენე მისი და შეიყუანოს იგი სავანესა მას რომელსა თუით სუფევეს რათა მუნ ადგილებდეს შემოქმედსა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

შენ ძეო ღმრთისაო პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილო ერთო სამებისაგანო ჭემმარიტო ღმერთო მამისაგან გამოსულო ემმანოილ ღმერთო და კაცო რომელი აღსასრულსა ჟამთასა განზღახულთა მამისათა და ნებითა სულისა ცხოელისათა იშევ ქალწულის მარიამისაგან და ყოველი წესი კაცობრივი აღსარულე თუინიერ ხოლო ცოდვისა გარნა ყოველივე ცოდვათა ჩვენთა აჯოცისათვის ჯვარს ეცუი და დაეფალ და აღდეგ მესამესა დღესა და ამალღდი ზეცად და დასჯედ მარჯვენით ღმრთისა და კუალად მომავალ ხარ ყოვლად ძლიერო იესო ქრისტე მფარველ ექმენ ორსავე ცხოვრებასა შინა ცხოვრებასა ჳელმწიფეს მეფეს პატრონს გიორგის კეთილად განაგე ყოველი ჳელთა მისთა და ნუ ოდეს განეშორრებ ცხოვრებასა შინა მისსა ფარვასა შენსა და ძლიერებასა პატიოსნისა ჳვრისა შენისასა დღე და ღამე სცევ და ჳფარვედი ჳმართებად განგებად და ნუგეშინის ეც და ჳელი აღუჳყარ და განმსჳვალე შიშსა და ეტლ კეთილ და სამოთხის მკუიდრად გამოაჩინე და სახელი მისი აღწერილ ჳყავ წიგნსა მას ცხოველთასა რამეთუ შენდა შუენის ყოველი დიდება და თაყუანის ცემა მამისა ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე ამინ ამინ ამინ.

**263r**

სახელითა ღმრთისაითა აღვასრულე ქკს~ ტღჳ მე ფრიად ცოდვილმან და სახელით ოდენ მდივანმან და საქმით ყოველთა მწიგნობრითა უნარჩევსმან ბეგთაბეგ და თუ უგბილებითა ჩემითა დამცდარი ნახოთ ესე აღწერა მიბრძანეს არ წეს არს უარ პატრონისა თუარა უხილავისსა და ხილულისა მტერისაგან დიდიად შედულარქნილ იყო გონება ჩემი კაემნის აღტუირთულობამან უკედ ვერ შემადლებინა და ამად მინდობდით მე მეტობა დაკლებისათვის

**ბოლო ფურცელზე**

„ქკს~ ჩღჳ მოველ საქართველოდამ სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს მე თავადი გრიგოლი სალთხუცის ძე ქაიხოსრო ჩოლაყოვი საქართველოს მეფის ირაკლის დროს და ვიყავი კახეთის სახთუხუცესი და ამილახვარი და ვიშოვე აქ მოსკოვს ეს ვეფხისტყაოსანი და წაველ ისევ საქართველოში ჩღჳ თვესსა მაისს. ვინც ეს წაიკითხოს ამ წერილით მოგონებულ მყავით ქაიხოსრო.“

ქ. ტარიელ ვაქოთ ავთანდილ ნესტანჯარ თინათინობა ვისი თავლთ შეხედვა ზარ ედვის აწ მიხვდა თინათინობა თუ როგორ ჰქონდათ მზისებრივ შუქთა მიდგმის ..... და აწ მათი ქება ვის ძალუმს დაინთქა თინათინობა